ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №4

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N 65

27.03.2023 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგით სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ჩიკვაიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ტოხვაძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, გრიგოლ მატარაძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი- **ლუიზა ჯოგლიძე.**

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- ლუბა გოგოძე.

მოწვეული სტუმრები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -ივანე მამფორია.

ა(ა)იპ ,,საფეხბურთო კლუბ ,,სულორი ვანის" დირექტორი - როინ კანკაძე

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების გადაფასების, საინვენტარიზაციო უწყისის განსაზღვრისა და ჩამოწერის თაობაზე;

მომხს: ივანე მამფორია

2. ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ;

მომხს: გელა ვარდოსანიძე

3. ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის" დირექტორის ინფორმაციის მოსმენა 2023 წლის საფეხბურთო სეზონისთვის მზადების შესახებ;

მომხს: როინ კანკაძე

4. სხვადასხვა

5. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;

მომხს: *ალექსანდრე ლილუაშვილი*

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2023 წლის 27 მარტის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების გადაფასების, საინვენტარიზაციო უწყისის განსაზღვრისა და ჩამოწერის თაობაზე";

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაფასება და ჩამოწერა. ასევე განმარტა: ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების განახლებული საბალანსო ღირებულება სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული 2022 წლის 31 დეკემბრიდან და აღნიშნული ღირებულების გათვალისწინებით აისახოს 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ასევე დაზიანებული და შემდგომში გამოსაყენებლად უვარგისი ინვენტარი ჩამოიწეროს ვანის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან N4 დანართით განსაზღვრული რედაქციით და მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს ჩამოწერილი ინვენტარის აუქციონის წესით რეალიზაციაზე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2023 წლის 27 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ვარდოსანიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აუცილებელია იმ გეოგრაფიული ობიექტების სახელდება რომლების ჯერ კიდევ ნომრის და სახელი გარეშეა, რაც უნდა მოხდეს არაბული ციფრების გამოყენებით და სიტუაციური რუკების შესაბამისად. განკარგულების მიღების შემდეგ 10 დღის ვადაში ის გადაეგზავნოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს", სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს", საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ასევე ვანის მუნიციპალიტეტის მერიას რეაგირებისათვის.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 27 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით (მომხსენებლის საპატიო მიზეზის არ ყოფნის გამო) ა(ა)იპ ,,საფეხბურთო კლუბ ,,სულორი ვანის" იურისტმა თამილა თავაძემ კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ ,,საფეხბურთო კლუბ ,,სულორი ვანის" ინფორმაციის მოსმენა 2023 წლის საფეხბურთო სეზონისთვის მზადების შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ 2023 წლის ა(ა)იპ ,,საფეხბურთო კლუბ ,,სულორი ვანის" დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან არის 275 000 ლარი ხოლო ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან 120 000 ლარი. აქედან ხარჯვითი ნაწილი არის განსაზღვრული საფეხბურთო სკოლაზე 275 000 ლარი შემდეგი ჩამონათვალით.

1. სახელფასო 242760 ლარი ხოლო დანარჩენი გადანაწილებულია გუნდის მივლინებაში, კვებაში, კომუნალურ გადასადებში და საწევრო გადასახადებში.

ფონდის დაფინანსებიდან სახელფასო განსაზღვრულია 72000 ლარით, რომელიც განისაზღვრება მწვრთნელის და ფეხბურთელების ხელფასი.

საფეხბურთო კლუბ ,,სულორ ვან" -ს საფეხბურთო სკოლას ყავს სამი ასაკობრივი ჯგუფი, რომელიც მიიღებს მონაწილეობას იმერეთის 2023 წლის ღია ჩემპიონატში, ასევე ორი არსაშეჯიბრო გუნდი და

საფეხბურთო კლუბ ,,სულორი - ვან"ს ყავს ერთი საქართველოს 35 -ე ჩემპიონატში მონაწილე გუნდი მე-4 ლიგაში.

,,სხვადასხვაში" საკითხები არ განხილულა.

დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2023 წლის 27 მარტის სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს 27 მარტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი. (დანართი N2)

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე